საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო საბჭოსთან არსებული სარევიზიო კომისიების დებულების მე-6, 7, 13, 27 და 28 მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 27 №-ი, მუხ. 208) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„6. თავის შედგენილობიდან სარევიზიო კომისიები ირჩევენ თავმჯდომარეს და მდივანს. სასოფლო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი“.

„17. სარევიზიო კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებიც ინსტრუქტიობასა და სისტემატურ კონტროლს უწევენ მათ სარაიონო საფინანსო განყოფილებათა მეშვეობით“.

„18. სასოფლო სამეურნეო კომისია მოვალეა გაუკეთოს რევიზია ყოველ თვე სასოფლო საბჭოს საღაროს, კვარტალში ერთხელ—დოკუმენტალური რევიზია სასოფლო საბჭოს და წელიწადში ერთხელ მაინც—დოკუმენტალური რევიზია სასოფლო ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულებას.

ამის გარდა, თვით სარევიზიო კომისიის ინიციატივით, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებით და აგრეთვე ამომრჩეველთა საერთო კრების შედგენილობის $^1/_3$ მოთხოვნით შეიძლება მოხდეს სასწრაფო რევიზია“.

„27. სასოფლო სარევიზიო კომისიები თავიანთი მუშაობის ანგარიშს უდგენენ ამომრჩეველთა საერთო კრებას და პასუხ აგებენ მის წინაშე.

სასოფლო სარევიზიო კომისია მოვალეა ყოველკვარტალურად მოახსენოს სასოფლო საბჭოს პლენუმს სასოფლო საბჭოს სალაროს მდგომარეობა და მის მიერ არსებული საფინანსო წესების აღსრულება.

ამის გარდა, სარევიზიო კომისია აცნობებს სასოფლო საბჭოს მის მიერ მოებული ყველა გამოკვლევისა და რევიზიის შედეგს.

სასოფლო სარევიზიო კომისია გამოდის აგრეთვე თანამოხსენებით სათათბიროზე სასოფლო საბჭოს ყოველი ისეთი მოხსენების გამო, რაც სასოფლო საბჭოს საქმიანობას ეხება“.

„28. სარევიზიო კომისიის წევრნი პასუხს აგებენ სარევიზიო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებული თავიანთი მოქმედებისათვის როგორც თანამდებობის პირნი; კერძოდ, ისინი, სასოფლო საბჭოს თანამდებობის პირებთან ერთად (თავმჯდომარე, მდივანი, ხაზინადარი, მოანგარიშე) პასუხს აგებენ ქონების გაფლანგვისა და გატაცებისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გაფლანგვა და გატაცება გამოაშკარავებულია სარევიზიო კომისიის გარეშე“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

81157

1935 წ. დეკემბრის 20. № 107.
ტფილისი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოს თავდაცვა

3. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა შეღავათების თაობაზე გამოცემული დადგენილებების გაუქმების შესახებ.

„ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა შეღავათების თაობაზე არსებული 1930 წ. იანვრის 13-ის დადგენილების გაუქმების შესახებ" გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ოქტომბრის 27-ის დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 56 №-ი, მუხ. 453), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გაუქმებულ იქნას:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 13-ის დადგენილება „ყოფილი წითელგვარდიელებისა და წითელი პარტიზანების შეღავათების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. მე-15 №-ი, მუხ. 109);

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტ და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს დადგენილება „წითელგვარდიელებისა და წითელპარტიზანების კატეგორიის მოქალაქეთა მიკუთვნების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 21 მუხ. 191);

გ) მე-2 მუხლი შენიშვნითურთ და მე-5 მუხლი სრულიად საქართველ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 193[illegible] წ. ნოემბრის 16-ის დადგენ ლებისა „ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა სრულიად საქართ ველოს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ„ საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 32 მუხ. 202; გაზ. „კომუნისტის" 1935 წ. 270 №-ი);

დ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალუ აღმასრულებელი კომიტეტებისა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა დ საქალაქო საბჭოების ის დადგენილებანი, რომლებიც ეხება ყოფილ წითელგვარ დიელებს და წითელპარტიზანებს.

2. 23[2] მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექ ტემბრის 2-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტ ბის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ" (ს სსრ კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 223) მიღებულ იქნას შემ[illegible] დაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„23². ყოფილ პოლიტკატორელთა და გადასახლებულთა საზოგადოების და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრები ქირას მათ მიერ დაჭერილი საცხოვრებელი ფართობისათვის გადაიხდიან საბინაო ქირის 10-დან 50%-მდე დაყლებით. ამ მონაკლების რაოდენობას განსაზღვრავენ საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ელენტი.**

1935 წ. დეკემბრის 20. № 104/1730ა.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 301 №-ში 1935 წ. დეკემბრის 29.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

4. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

354.2

საქართველოს შავი-ზღვის სანაპიროზე ციტრუსოვან კულტურათა ფართობების გადიდების ხუთწლიანი გეგმის (1936-1940 წ.წ.) შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 5 ნოემბრის დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე.

მიღებულ იქნას შემდეგი წინადადებანი თათბირისა, რომელიც მოწვეული იყო საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან ა-წ. 14 ნოემბერს პარტიის საოლქო კომიტეტის, რაიკომების მდივანთა და სამეწარმოქმედო ორგანოების მუშაკთა მონაწილეობით საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ციტრუსოვან კულტურათა ფართობების გადიდების ხუთწლიანი გეგმის (1936-1940 წლების) შესახებ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიმდინარე წლის 5 ნოემბრის დადგენილების რეალიზაციის საკითხებზე.

1. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ა-წ. 5 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებული გეგმა, რომლის მიხედვითაც 1936-1940 წლების პერიოდში უნდა გაშენდეს ციტრუსოვანი კულტურები 16.820 ჰექტარზე იმ ანგარიშით, რომ 1940 წლის დამლევისათვის ციტრუსოვან კულტურათა ფართობი აყვანილ იქნას 20.000 ჰექტარამდე, მათ შორის: მანდარინის—12.000 ჰექტარი, ლიმონის—7.000 ჰექტარი და ფორტოხალი—1.000 ჰექტარი (კოლხიდაში დასაშრობი მელიორაციის შედეგად მიღებული ფართობების ათვისების გათვალისწინებით), განაწილდეს რესპუბლიკებსა და რაიონებს შორის შემდეგნაირად (იხ. **დ ა ნ ა რ თ ი**). [იხ. ცხრილი გვ. 7]

2. ციტრუსოვან კულტურათა გაშენების ამ გეგმის უზრუნველსაყოფად სანერგეთა არსებული ფართობი 60 ჰექტარის რაოდენობით (1935 წელს) აყვანილ იქნას 1936 წელს 220 ჰექტარამდე, ხოლო 1937 წელს—380 ჰექტარამდე იმ ანგარიშით, რომ მიღებულ იქნას სტანდარტული სანერგე მასალა 1936 წელს—320.000 ცალი, ხოლო 1937 წელს—1.000.000 ცალი, 1938 წელს—4.000.000 ცალი, 1939 წელს—5.000.000 ცალი და 1940 წელს—6.500.000 ცალი.

3. დამტკიცდეს ციტრუს-ტრიფოლიატის თესლის დამზადების გეგმა 1936 წლის გაზაფხულზე სადედე ნერგების დასათესად 15.000 კილოგრამის რაოდენობით, მათ შორის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარისტანში	1.700	კგ.
აფხაზეთში	1.300	„
მახარაძის რაიონში	4.000	„
ლანჩხუთის „	5.000	„
ხობის „	1.200	„
ზუგდიდის „	1.000	„
ჩოხატაურის „	200	„
სამტრედიის „	200	„
ცხაკაიას „	100	„
ქუთაისის „	100	„
ხონის „	50	„
მარტვილის „	50	„
აბაშის „	50	„
ვანის „	50	„

4. დაევალოთ პარტიის აჭარისტანის და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებს და პარტიის ჩამოთვლილ რაიონულ კომიტეტებს უზრუნველყონ ციტრუსტრიფოლიატის თესლის დამზადების გეგმის შესრულება ა-წ. 15 დეკემბრისათვის.

5. დაევალოს კომისიას ამხ. ბაქრაძის (მოწვევა), ლაკობას (აფხაზეთი), ზ. ლორთქიფანიძის (აჭარისტანი), ბუდუ მდივნის, კეკელიას, მათიკაშვილის, ურუშაძის, გეურქოვის (აჭარისტანი), ლადარიას (აფხაზეთი), ბერიძის, კილაძის (მახარაძის რაიონი), გვასალიას (ზუგდიდის რაიკომი) და ზეინალოვის შემადგენლობით მოამზადოს და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალურ კომიტეტ'ა და სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად ა-წ. 1 დეკემბრამდე წარუდგინოს შემდეგი საკითხები:

ა) ციტრუსოვან კულტურათა გაშენების გეგმების რაიონობრივი განაწილება წლებისა და სექტორების მიხედვით;

ბ) ციტრუსოვან სანერგეთა გაშენების რაიონობრივი გეგმა წლებისა და სექტორების მიხედვით;

გ) სანერგე მეურნეობის ორგანიზაციის ღონისძიებანი;

დ) რაიონები და სასოფლო საბჭოები, რომელთა მიმართ გამოცემულ უნდა იქნას სავალდებულო დადგენილება ციტრუსოვანი კულტურების საკარმიდამო მიწებზე გაშენების შესახებ;

ე) ციტრუსების პლანტაციებისა და სანერგეების გაშენების დაფინანსება;

ვ) კადრების მომზადება ციტრუსების მეურნეობისათვის;

ზ) ციტრუსოვანი კულტურების აგროწესები და აგროტექნიკა.

6. დაევალოს საქართველოს მიწსახკომს 3 დღის ვადაში მისცეს რაიონებს საჭირო მითითებანი ციტრუსოვანი ნარგავების სადედეთა აპრობაციის ორგანიზაციის საკითხებზე. წინადადება მიეცეთ პირტიის საოლქო კომიტეტებს და რაიკომებს უზრუნველყონ სამიწათმოქმედო ორგანოების ეს მუშაობა სათანადო ხელმძღვანელობით.

საქ. სსრ ს.კ-სოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1935 წ. ნოემბრის 16.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 269 №-ში 1935 წ. ნოემბრის 21.

დანართი

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ციტრუსოვან კულტურათა ფართობების გადიდების ხუთწლიანი გეგმა (1936—1940 წლებში)

რესპუბლიკები და რაიონები	სულ ციტრუსოვანი კულტურები			ფანდარინი			ლიმონი			ფორთოხალი		
	არსებობს ჰექტარობით	გაშენდება 1936—1940 წლებში ჰექტარობით	სულ იქნება 1940 წ. დამლევისათვის ჰექტარობით	არსებობს ჰექტარობით	გაშენდება 1936—1940 წლებში ჰექტარობით	სულ იქნება 1940 წ. დამლევისათვის ჰექტარობით	არსებობს ჰექტარობით	გაშენდება 1936—1940 წლებში ჰექტარობით	სულ იქნება 1940 წ. დამლევისათვის ჰექტარობით	არსებობს ჰექტარობით	გაშენდება 1936—1940 წლებში ჰექტარობით	სულ იქნება 1940 წ. დამლევისათვის ჰექტარობით
1. აფხაზეთი	663	5.337	6 000	575,9	2.624	3.199,9	67,78	2,432	2.499,78	19,32	281	300,32
2. აჭარისტანი	1.820	4.422	6 250	1.634,21	1.574	3.178,21	180,19	2,420	2.600,19	43,60	420	71,6
3. მახარაძე	319	1.981	2 300	282,94	1.181	1.463,94	34,03	700	704,08	1,98	100	101,9
4. ლანჩხუთი	169	1.101	1 270	151,36	671	822,36	17,59	400	417,59	0,05	30	30,05
5. ზუგდიდი	77	1.533	1 610	70,23	1.106	1.176,23	6,77	400	406,77	—	27	27
6. ფოთი	159	801	960	106,51	564	670,51	43,54	197	240,54	8,95	40	48,95
7. ჩოხატაური	4	96	100	4	86	90	—	10	10	—	—	—
8. აბაშა	7	143	150	7	130	140	—	5	5	—	5	5
9. სენაკი	33	507	540	32,61	452	484,60	0,36	50	50,36	0,03	5	5,03
10. ჩხოროწყუ	3	297	300	3	282	285	—	10	10	—	5	5
11. მარტვილი	3	147	150	2,81	137	139,81	0,12	5	5,12	0,07	5	5,07
12. ხობი	15	305	320	14,24	280	294,24	0,76	20	20,76	—	5	5
13. წალენჯიხა	—	150	150	—	145	145	—	—	—	—	5	5
სულ	3.280	16 820	20 100	2854,81	9.235	12.089,81	351,19	6.649	7.000.19	74	936	1.010

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა. მოგმარაბება.

5. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.

პურის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

საქართველოს სსრ-ში პურის ჩაბარების წლიური გეგმის აღსრულებისა და თესლით საგაზაფხულო თესვის უზრუნველყოფის გამო და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

ნება დაერთვას კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს მიჰყიდონ დაუბრკოლებლად თავიანთი პური (მარცვლეულად, ფქვილად, გამომცხვარ პურად) კოოპერატიულ ორგანიზაციებს და აგრეთვე გაყიდონ იგი ქალაქებისა და სოფლების ბაზარში და რკინის გზების სადგურებზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ვ. ბაქრაძე.**

1935 წ. დეკემბრის 20. № 1735.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 294 №-ში 1935 წ. დეკემბრის 21.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

6. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა დებულების მე-7, 10 და 12 მუხლების შეცვლისა ამ დებულებისათვის მე-10[1], 10[2], 18 და 19 მუხლების დამატებისა და მე-6 მუხლის „ბ" პუნქტის ამოშლის შესახებ.

„სასოფლო საბჭოების საფინანსო მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ" გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აგვისტოს 3-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 42 № ი, მუხ. 358), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-3 № ი, მუხ. 49) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მე-7 და 10 მუხლები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„7. 50% ფაქტიური შემოსავლისა, რაც სასოფლო ბიუჯეტის დამტკიცებულ საშემოსავლო ნაწილში აღრიცხულ თანხებს აღემატება, რჩება სასოფლო საბჭოს განკარგულებაში და შეიძლება დაიხარჯოს დამატებითი ხარჯთაღრიცხვით იმავე საბიუჯეტო წელს“.

„10. სასოფლო ბიუჯეტი განიხილება საფინანსო სექციაში და სასოფლო საბჭოს პლენუმში და წარედგინება დასამტკიცებლად სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს არა უგვიანეს, ვიდრე ერთი თვით ადრე საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი განიხილავს სასოფლო ბიუჯეტს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებით და სარაიონო საფინანსო განყოფილების დასკვნით, სასოფლო საბჭოს საფინანსო სექციის თავმჯდომარისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანადასწრებით.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა უნდა დაამტკიცოს სასოფლო ბიუჯეტი და დაუბრუნოს სასოფლო საბჭოს არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დაწყებისა. უკეთუ დამტკიცებული ბიუჯეტი არ დაებრუნა სასოფლო საბჭოს აღნიშნულ ვადაზე, ბიუჯეტი მიიღება აღსრულებისათვის უცვლელად.“

2. დაემატოს დებულებას მე-10^1 და მე-10^2 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„10^1. სასოფლო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს არ შეუძლია, დამატებითი შემოსავლის მიუცემლად, დააკისროს სასოფლო საბჭოს ახალი ხარჯები იმ ხარჯების ზედმეტად, რაც გათვალისწინებულია დამტკიცებული სასოფლო ბიუჯეტით“.

„10^2. ყოველგვარი ცვლილება სახელმწიფო გადასახადებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში გადასარიცხი თანხების რაოდენობისა უნდა მოხდეს არა უგვიანეს სამი თვისა საბიუჯეტო წლის დაწყებამდე“.

3. მე-12 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„12. ერთად-ერთი განმკარგულებელი სასოფლო საბჭოს მიმდინარე ანგარიშისა სახელმწიფო ბანკის განყოფილებასა ან შემნახველ სალაროში არის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, და სასოფლო საბჭოს მომუშავეთაგან არავის, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის გარდა, არა აქვს უფლება გასცეს განკარგულება ამ მიმდინარე ანგარიშიდან თანხების ჩამოწერის შესახებ.

სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, სასოფლო ბიუჯეტზე მყოფ ცალკეულ დაწესებულებათ შეიძლება მიეცეთ კრედიტების მესამეხარისხოვანი განმკარგულებლის უფლება“.

4. დებულებას დაემატოს მე-18 და 19 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„18. ფინანსთა სახალხო კომისარიატი სისტემატურ მეთვალყურეობას უწევს დამტკიცებული სასოფლო ბიუჯეტის დაუცადებელ საკასო აღსრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას შემოსავლის მიღებისა და ხარჯების გაწევისათვის დადგენილი ვადების შესაბამისად და უწევს სასოფლო ბიუჯეტს საჭირო სასეზონო დახმარებას".

„19. სასოფლო საბჭოს მიმდინარე ანგარიშიდან თანხების იძულებითი ჩამოწერა შეიძლება მხოლოდ სასამართლო ორგანოებისა და სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებული დადგენილებით თითოეულ ცალკე შემთხვევაში.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება სასოფლო საბჭოს მიმდინარე ანგარიშიდან თანხების იძულებითი ჩამოწერის შესახებ შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში:

ა) უკეთუ სასოფლო ბიუჯეტის სახსარში ჩარიცხულია სახელმწიფო ბიუჯეტის ან სხვა ადგილობრივი ბიუჯეტის კუთვნილი თანხა;

ბ) უკეთუ სასოფლო საბჭომ არ შეასრულა ზემდგომი ბიუჯეტების სახსრიდან გაცემული სესხის დაფარვის ვალდებულება;

გ) უკეთუ სასოფლო საბჭომ არ შეასრულა მოწესრიგების ფონდში იმ ანარიცხების გადაცემის ვალდებულება, რაც დადგენილია ბიუჯეტის დამტკიცების დროს;

დ) უკეთუ სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაიხადა სასოფლო საბჭოს ბიუჯეტის ხარჯზე მაწავლებელთა, სამედიცინო მომუშავეთა და სხვ. სამუშაო ხელფასის დავალიანება;

ე) უკეთუ დასაფარია სოციალური დაზღვევის გადასახადის ნარჩენი".

5. დებულების მე-6 მუხლის „პ" პუნქტი ამოიშალოს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. დეკემბრის 4. № 100/1644-ა.
ტფილისი.

---

7. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე" გამოცემული დადგენილების 23 მუხლისათვის „ი¹" პუნქტის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ" გამოცემული, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართ-

ველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილების 23 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71; 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 108; 1934 წ. მე-12 №-ი, მუხ. 121; 1935 წ. მე-16 №-ი, მუხ. 111) დაემატოს „ი¹" პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[23. გადასახადისაგან (სანახაობასა და გასართობზე) განთავისუფლდებიან შემდეგ გასართობსა და სანახაობაზე მიმსვლელნი: . . . .]

„ი¹) რადიოკომიტეტის მიერ სპეციალურად ბავშვებისათვის გამართულ კონცერტებზე".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. დეკემბრის 20. № 108/ 1733-ა.
ტფილისი.

სახელმწიფო დაზღვევა.

8. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში სადაზღვეო საზღაურის სისწორით გადახდის მასური შემოწმების ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ სარაიონო და სასოფლო სადაზღვეო კომისიების მუშაობაში აქამდე სავსებით აღმოფხვრილი არ არის საქმის ბიუროკრატული გაჭიანურებისა, კოლექტიური მეურნეობების, კოლმეურნეობისა და ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობისათვის სადაზღვეო საზღაურის გადახდაზე დაუსაბუთებელი უარის თქმის ფაქტები და აგრეთვე ფაქტები სადაზღვეო საზღაურის გადახდისა ქონებისაღმი აშკარად დაუდევარი მოპყრობის შემთხვევებში.

ამისდამიხედვით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1935 წ. ნოემბრის 20-დან 1936 წ. იანვრის 1-მდე მთლად საქართველოში ჩატარებულ იქნას 1935 წ. იანვრის 1-ის შემდეგ მომხდარი ყველა სადაზღვეო ზარალის (ცეცხლისაგან ქონებისა, გაწყდომისაგან საქონლისა და დაღუპვისაგან ნათესების დაზღვევა და სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევა) წესიერი ლიკვიდაციისა და სისწორით ანაზღაურების მთლიანი შემოწმება.

2. შემოწმების ჩასატარებლად მოეწყოს შემმოწმებელი ბრიგადები შემდეგი შედგენილობით: სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებული (ბრიგადის ხელმძღვანელი), სასოფლო საბჭოს საფინანსო სექციის ხელმძღვანელი, სასოფლო სადაზღვეო კომისიის თავმჯდომარე, კომკავშირის ორგანიზაციის წარმომადგენელი და საზოგადოებრივი სადაზღვეო ინსპექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულთ (ბრიგადირებს) ჩაატარონ კოლმეურნეთა შორის მუშაობა შემოწმების მიზნებისა და ამოცანების ახსნა-განმარტებისათვის.

4. ხელმძღვანელობის გაწევა შემოწმების ჩატარებისათვის დაეკისროს სარაიონო საფინანსო განყოფილებათა გამგეებს და სარაიონო სადაზღვეო კომისიების თავმჯდომარეებს.

5. შემოწმების შედეგები მოსმენილ იქნას სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმებზე, რაიონში სადაზღვეო მუშაობის გაუმჯობესების შესახებ კონკრეტულ გადაწყვეტილებათა მიღებით, კერძოდ—სასოფლო და სარაიონო სადაზღვეო კომისიების მუშაობისა სადაზღვეო აქტების შედგენის და განხილვის სფეროში.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს—უზრუნველყონ თავის დროზე რაიონები სათანადო ინსტრუქტაჟით შემოწმების ჩატარების საქმეში და გაუწიონ მათ პრაქტიკული დახმარება ამ მუშაობაში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. ნოემბრის 14. № 1562.

ტფილისი.

ჯანმრთელობის დაცვა

9. დადგენილება ს. კ. ს.

ᲡᲐᲜ.Კ

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სააღრიცხვო-სასტატისტიკო მუშაობის განმტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ თუმცა საქართველოს სსრ-ში ჯანმრთელობის დაცვის ხაზით სააღრიცხვო-სასტატისტიკო მუშაობის დაყენების საქმე რამოდენიმედ გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც მას აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი. მიმდინარე ანგარიშგებას ქვედა დაწესებულებანი უდგენენ ჯანმრთელობის სარაიონო განყოფილებებს, ხოლო ჯანმრთელობის სარაიონო განყოფილებანი—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს შესამჩნევი დაგვიანებით. აქამდე არ წარუდგენიათ მე-II კვარტალის ანგარიშგება ჯანმრთელობის დაწესებულებათა საქმიანობის შესახებ შემდეგ რაიონებს: ახალქალაქის, ადიგენის, ბაღდადის, ხონის, ტყიბულის, ქვემო-სვანეთის და მარტვილის რაიონებს. აგრეთვე არ წარმოუდგენიათ ივლისის თვიური ანგარიში გადამდებ დაავადებათა მოძრაობის შესახებ შემდეგ რაიონებს: ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ლაგოდეხის, აღბულახის, ლუქსემბურგის, ჩხორო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყუს, ბაღდადის, ტყიბულის, ქვემო-სვანეთის და ზემო-სვანეთის რაიონებს. რაიონული ჯუმლებით მოცულია ჯანმრთელობის დაწესებულებათა ქსელის მხოლოდ ნაწილი; ეს ჯუმლები პასუხს არ იძლევა პროგრამის მთელ რიგ საკითხებზე, ხოლო მთელ რიგ სხვა საკითხებზე მოცემულია არაზედმიწევნითი ან არასწორე ცნობები. ქვედა აღრიცხვისათვის არსებული ფორმები შევსებულია მხოლოდ ნაწილობრივ ზოგი რამ საკითხების შესახები ცნობებით, რის გამოც გაუგებარი რჩება, თუ ანგარიშგება რამდენად ეყრდნობა აღრიცხვას და რამდენად შეესაბამება სინამდვილეს. შესწავლილი არ არის მოსახლეობის დაავადების შესახები მასალა და, ამრიგად, გამოურკვეველი რჩება უდიდესი მიღწევანი საქართველოს სსრ მშრომელთა გაჯანსაღების სფეროში.

ამ ნაკლოვანების აღმოფხვრისა და რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის შესახები აღრიცხვის და ანგარიშგების დაყენების საქმის გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს იმ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთ, რომლებმაც ვადაზე არ წარადგინეს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აგვისტოს 22-ის დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 54 №-ი, მუხ. 317) დაწესებული ანგარიშგება ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, ან წარადგინეს იგი რაიონის არა ყველა დაწესებულებაზე, ლიკვიდირებულყონ ერთი დეკადის ვადაზე ჩამორჩენა მიმდინარე ანგარიშგების სფეროში და უზრუნველყონ შემდეგისათვის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ სისწორით შედგენილი ანგარიშგების წარდგენა სსრ კავშირის მთავრობის მიერ დადგენილ ვადაზე.

2. დაევალოს ჯანმრთელობის სარაიონო განყოფილებათ დააკისრონ, არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 20-ისა, სპეციალური ბრძანებით, მუშაობა ჯანმრთელობის თითოეულ დაწესებულებაში ქვედა აღრიცხვის დაყენებისა და ანგარიშგების შედგენისათვის დაწესებულების ერთ-ერთ თანამშრომელს, როგორც მისი მუდმივი მოვალეობა; ამასთანავე, პერსონალური პასუხისმგებლობა ანგარიშგების სიავკარგისა და თავის დროზე წარდგენისათვის დაეტოვოს დაწესებულების ხელმძღვანელს.

3. ჯანმრთელობის ყველა სარაიონო განყოფილებამ უნდა გაითვალისწინოს 1936 წლის ბიუჯეტში ჯანმრთელობის დაცვის შესახები ქვედა აღრიცხვისა და ანგარიშგების ფორმების ცენტრალიზებულად ბეჭდვისათვის საჭირო სახსარი.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს:

ა) გარდაქმნას ქვედა აღრიცხვა ჯანმრთელობის დაწესებულებებში თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. იანვრის 13-ის დადგენილებისა „საწარმოთა პირველადი აღრიცხვის სისტემის გამარტივებისა და ფორმების შემცირების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1935 წ. მე 5 №ი, მუხ. 39) და დაამთავროს ეს სამუშაო არა უგვიანეს 1935 წ. დეკემბრის 1-ისა;

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიაწოდოს მე-IV კვარტალის განმავლობაში ყველა თავის ორგანოს და დაწესებულებას ანგარიშგების ბლანკები სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ დადგენილი ფორმისამებრ;

გ) გააძლიეროს ქვედა მომუშავეთა ინსტრუქტაჟში და ბრძოლა უკანონო ანგარიშგების წინააღმდეგ და სააღრიცხვო დისციპლინისათვის, თანაც იხმაროს საჭირო ღონისძიებანი სააღრიცხვო-სასტატისტიკო მასალის თვისების გაუმჯობესებისათვის;

დ) მედმომუშავეთათვის მედიკო-სანიტარული სტატისტიკის თეორიისა და პრაქტიკის გასაცნობად 1935/36 სასწავლო წლიდან შემოიღოს სამედიცინო ინსტიტუტსა და საფერშლო ტექნიკუმებში მედიკო-სანიტარული სტატისტიკის სწავლება, შეუთანხმოს-რა სამედიცინო სტატისტიკის სწავლების პროგრამა საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს;

ე) 1935 წელს ჯანმრთელობის დაცვისათვის გადადებული სახსრით მოაწყონ დამატებითი მოკლევადიანი კურსები ჯანმრთელობის საქმის იმ სტატისტიკოსებისათვის, რომელთაც არ გაუვლიათ წინათ მოწყობილი კურსები.

უზრუნველყოს აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის შესახები ქვედა აღრიცხვის მომუშავეთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას— გამოყოს ჯანმრთელობის დაცვის შესახები აღრიცხვისა და ანგარიშგების ფორმების დასაბეჭდად საჭირო ქაღალდი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და „საქორგაღრიცხვის“ განაცხადების თანახმად.

6. წინადადება მიეცეს „საქორგაღრიცხვას“—უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის შესახები აღრიცხვისა და ანგარიშგების ყველა უნიფიცირებული ფორმის თავის დროზე ბეჭდვა.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—მოაწყოს მუშაობა მოსახლეობის დაავადების სისტემატური შესწავლისათვის საქართველოს სსრ შემდეგ ქალაქებში: ტფილისსა, ქუთაისსა, ფოთსა, გორსა, ხაშურსა, ჭიათურასა, სამტრედიასა და ლანჩხუთში და უზრუნველყოს საჭირო სახსრით სტატმასალის დამუშავება.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს---მოაწყოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო და საუბნო ინსპექტურის მეშვეობით სისტემატური კონტროლი და მეთვალყურეობა ჯანმრთელობის დაწესებულებისა და ორგანოების სააღრიცხვო-სასტატისტიკო მუშაობისათვის, გაუწიოს-რა მათ დახმარება საქმის წესიერად მოწყობაში.

9. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—შეამოწმოს ამა დადგენილების აღსრულება და შედეგი მოახსენოს სახალხო კომისართა საბჭოს.

10. მიენდოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მთავრობათ—განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებანი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სააღრიცხვო-სასტატისტიკო მუშაობის განმტკიცებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. ნოემბრის 14. № 1563.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური უზრუნველყოფა.

10. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

934

სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებისა და სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოებისათვის ნებადართვისა იქონიონ სასწავლო-საწარმოო და საწარმოო წამოწყებანი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. უფლება მიეცეს სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას და სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოებას მოაწყონ სასწავლო-საწარმოო და საწარმოო წამოწყებანი უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთაგან კადრების მოსამზადებლად და მათთვის შრომის მოსაწყობად.

II.

2. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების დებულების მე-7 მუხლის „გ" და „დ" პუნქტები და მე-13 მუხლის „გ" პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-11 №-ი, მუხ. 63) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

934

[7. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ძირითად ამოცანას შეადგენს: . . .]

„გ) მოამზადოს ყრუ-მუნჯთაგან, დაყრუებულთა და დამუნჯებულთაგან ნასწავლი კადრები, რისთვისაც განახორციელოს მათი საერთო და პროფესიონალურ-ტექნიკური სწავლება თავის სასწავლო-საწარმოო წამოწყებებში და აგრეთვე მოაწყოს ყრუ-მუნჯთა, დაყრუებულთა და დამუნჯებულთა შეგირდობა წამოწყებებსა, დაწესებულებებსა და პროფტექნიკუმებში";

„დ) გეგმიანად მოაწყოს ყრუ-მუნჯნი, დაყრუებულნი და დამუნჯებულნი სამუშაოზე სახელმწიფო და კოოპერატიულ წამოწყებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში და აგრეთვე თავის საწარმოო წამოწყებებში".

[13. საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების (განყოფილებების, უჯრედების) სახსარი შესდგება: . . .]

„გ) მის საწარმოო წამოწყებათა და გამსაღებელ წერტილთა შემოსავლისაგან".

934

3. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების დებულების მე-7 მუხლის „გ" და „დ" პუნქტები და მე-13 მუხლის „გ" პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-11 №-ი, მუხ. 64) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

[7. სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ძირითად ამოცანას შეადგენს: . . . . .]

ბ) მოამზადოს უსინათლოთაგან ნასწავლი კადრები, რისთვისაც განახორციელოს მათი საერთო და პროფესიონალურ-ტექნიკური სწავლება თავის სასწავლო-საწარმოო წამოწყებებში და ხელი შეუწყოს მათ სწავლებას სახელმწიფო საერთო და სპეციალურ სასწავლებლებში და უსინათლოთა კურსებზე; აგრეთვე მოაწყოს უსინათლოთა შეგირდობა წამოწყებებსა და დაწესებულებებში;"

„დ) გეგმიანად მოაწყოს უსინათლონი სამუშაოზე სახელმწიფო და კოოპერაციულ წამოწყებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში და აგრეთვე თავის საწარმოო წამოწყებებში".

[13. საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების (განყოფილებების, უჯრედების) სახსარი შესდგება: . . . . .]

„ბ) მის საწარმოო წამოწყებათა და გამსაღებელ წერტილთა შემოსავლისაგან".

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომრის მ. ა. **თ. ყლენტი.**

საქ სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ბ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **ვ. ვაშაკიძე.**

1935 წ. სექტემბრის 16. № 73/1343.
ტფილისი.

---

11. დადგენილება ც.ა.კ და ს.კ.ს.

სრულიად საქართველოს ომის ინვალიდებისა, ავადმყოფ, დაჭრილ დადემობილიზებულ წითელარმიელების და წითელიფლოტელებისა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის და ფლოტის რიგებში გაწვეულ პირთა ოჯახებისა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ლიკვიდირებულ იქნას სრულიად საქართველოს ომის ინვალიდებისა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელების და წითელფლოტელებისა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის და ფლოტის რიგებში გაწვეულ პირთა ოჯახებისა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საზოგადოება.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს—აღნიშნული საზოგადოების ლიკვიდაციის ჩასატარებლად მოაწყოს სალიკვიდაციო კომისია სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით და ფინანსთა სახალხო კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარიატის წარმომადგენლის მონაწილეობით და დაამთავროს ლიკვიდაცია სამი თვის განმავლობაში.

3. აღნიშნული საზოგადოების ქონება და სახსარი, რაც დარჩება მისი ლიკვიდაციის შემდეგ, გადაეცეს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, რომელსაც დაეკისროს მოვალეობა—დამხმარე საზოგადოების საწარმოთა შემოსავლიდან გაუწიოს დახმარება სამოქალაქო ომის ინვალიდებს, სამოქალაქო ომში დაღუპულთა ოჯახებს და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში გაწვეულთა ოჯახებს, რომლებიც განსაკუთრებით გაჭირვებული არიან.

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართ საბჭოს 1935 წ. თებერვლის 22-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება სრულიად საქართველოს ომის ინვალიდებისა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელების და წითელფლოტელებისა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის და ფლოტის რიგებში გაწვეულ პირთა ოჯახებისა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საზოგადოების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-12 №-ი, მუხ. 65) გაუქმებულ იქნას.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1935 წ. დეკემბრის 20. № 106/1731ა.
ტფილისი.

სისხლის სამართალი

12. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 213 მუხლის დამატების შესახებ.

„პორნოგრაფიულ გამოცემათა, გამოხატულებათა და სხვა საგანთა დამზადების, შენახვის, რეკლამირებისა და ვაჭრობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ოქტომბრის 17-ის დადგენილების შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 213 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

"213. პორნოგრაფიულ თხზულებათა, ნაბეჭდ გამოცემათა, გამოხატულებათა და სხვა საგანთა დამზადება, გავრცელება და რეკლამირება და აგრეთვე ვაჭრობა ან შენახვა გაყიდვის ან გავრცელების მიზნით გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე, პორნოგრაფიულ საგანთა და წარმოების საშუალებათა აუცილებელი ჩამორთმევით".

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. დეკემბრის 20. № 109/1734ა.
ტფილისი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —

— (გამოდის ქართულ და რუსულ ენაზე) —

ხელის მოწერის ფასი 1936 წლისათვის

(თვითეული ტექსტისა)

ერთი წლით—იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე— 10 მან. || ნახევარი წლით—იანვრის 1-დან ივნისის 30-მდე— 5 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა ნ რ ი ბ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1936 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
3	სასოფლო საბჭოებს	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს	3
5	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს	12
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	სარაიონო პროკურორებს	1
12	სახალხო გამომძიებლებს	1

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 1. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 1¼ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 2/I; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/I; ტირაჟი 2.000

თავლ. რწმ. № 87026 საქ. სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. შეკვ. № 1